№ 230 შაბათი, 17 ოქტომბერი 1909 წ. № 230

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხზვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური — დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

---

ივანე ბესარიონის ძე, ბაბილინა, იოსებ და კირილე ივანეს ძენი და ასული კოხრეიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი—შვილის, ხოლო დანარჩენნი ძმის—მასწავლებლის

## ერმოლოზ კოხრეიძისას.

დაკრძალვა კვირას, 18 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, სოფ. იანეთში. (2—ნ, 1)

---

წარმოდგენა № 8. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 8.

კვირას, 18 ოქტომბერს, 1909 წელს

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და ბ-ნ ს. სვიმონიძის მონაწილეობით

## ორი ობოლი

მელოდ. 5 მოქმედებად თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, ბ. მღთაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი, იმედაშვილი-ხამშელი, გ. მესხი, გ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

**საღამოს გამგე კნ. ელისაბედ ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.**

მზადდება წარმოსად. „სიძე სიმამრი", „დედის ერთა", „ქოჩრიანი ტოროლა" და „იმედის დალუპვა".

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიულ საზოგადოების

## მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსულ წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე—23 ოქტომბერი, როდესაც საზოგადოების წევრნი ვაჭარნი მთელ თავიანთ ნავაჭრიდან **წილს გადასდებენ**

## ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ, კეთილ ინებონ და 23 ამა ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ, რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი.

---

ქართული წარ- **ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 4.

**შაბათს, 17 ოქტომბერს 1909 წ.**

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## დამარცხებულნი

პიესა 5 მოქმ. ირეთელისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, ქართველიშვილი, კავთელი; ბ-ნნი სალაყაია, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბალაშვილი, მესხიძე, მაისურაძე, მირველოვი, რევაზოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესადა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

(2—2)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**ზურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ქარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანხვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—14)

---

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფესორისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—39)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმლების (ჭაჭების) ხატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—85)

**ექიმმა** ქუთაისში. ვოლოხმა ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—6)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—274)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—25)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—34)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—26)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ სავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—92)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. ბედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—84)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—31)

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—7)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რაჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოხიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—24)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. სავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—37)

---

Библиотека ИМЭЛ

## ქართული თეატრი

... 24 ...ერს, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად

## გრიგოლ რობაქიძისა

ამ თემაზე:

## სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლექციის დაწყების წინ **ბ. ივ. გომართელი** წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. **ნიკოლოზ ერისთავი** წარმოსთქვამს პოეტის რამდენსამე ლექს.

დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**დასაწყისი საღამოს 8 საათს.** (5—2)

---

**გამგე** კომიტეტი ტფ. გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ თავად-აზნაურთა საზოგადოებისა

აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ ამა წლის ოქტომბრის 18 დილის 11 საათზე თავ.-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა

✦◀ **წლიური საზოგადო კრება** ▶✦

განსახილველია: 1. საზოგადოების 1908 წ. მოქმედების ანგარიში სარევიზიო კომისიის მოხსენებითა.

2. შემოსავალ-გასავლის ხარჯთა აღრიცხვა 1909 წ.

3. მოხსენება გამგე კომიტეტისა „ხკრის" მამულის გაყიდვის თაობაზე.

და 4. მიმდინარე საკითხები სწავლა-აღზრდის ხთაასიის მქონებელო. (4—ნ—4)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ, 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პაპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—182)

---

**გვაქვს პატივი საყოველთაოდ ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ დაბა ბაღდადში (ქუთაისის მაზრა) მთავრობის ნებართვით დანიშნულია**

## საბაზრო დღე, ხარშაბა

ყოველ კვირა დღისთვის, რისთვისაც ვაჭრობისათვის დანიშნულ ადგილას გაკეთებულია ყაფანი სასწორით და ბუტკები, სადაც იყიდება სიმინდი, ღვინო, ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი, შინაური ფრინველი, ყაყარი, ფიცარი, ხეები, ჩითეულობა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ნამყენი ვაზი და სხვა ყოველნაირი სამეურნეო ნაწარმოები, საბაკალეო და სამანუფაქტურო საქონელი.

აგრეთვე სოფლის მცხოვრებთ შეუძლიანთ მოიტანონ ყოველნაირი თავიანთი ნაწარმოები და მოიყვანონ ცხოველები გასასყიდად.

**ბაღდადის დეპუტატები: ა. ბუცხრიკიძე, ს. ხითაროვი და ს. ჯაფარიძე** (3—კვ.—1)

---

## ქართული თეატრი

შაბათს, 17 ოქტომბერს, 1909 წ. „ფარსისა და კომედიის დასის" მიერ წარმოდგენილი იქნება რუსულ ენაზე

✦ **ფარსთა მეფე** ✦

## ქალბატონი 23 №-სა

(ДАМА ИЗЪ 23 N)

ფარსი 3 მოქ. თარგ. სამუროვისა.

**მონაწილეობენ:** ვ. ნ. მურატი, პ. ს. ნეჟდანოვი, მ. ი. ნიკელცკი, ლ. პ. ვორონინი, ა. ვ. ივანოვი, პ. ა. არაქსიანი, ი. ი. გონეცკი, ი. ნ. გულიშამბაროვი, ი. ლ. ლევიჩი, ვ. ა. ლონინი, ნ. ი. ტომიცკი.

ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი **პ. ა. არაქსიანი.**

რეჟ. თანაშემწე **ვ. ა. ლონინი.**

---

## სახალხო სახლი

**ძმ. ზუბალაშვილებისა**

კვირას, 18 ოქტომბერს, დილის სწორედ 11 საათზე,

**ა. ი. მალხაზიანი**

**წაიკითხავს ლექციას**

## გ. დ' ანუნციოსა

და

## პ. ტეტმაიერის

**შესახებ.**

ბილეთები გაიყიდება სახალხო სახლის კასაში 50 კ.-დან 5 კ.-დე. (უ. 4—3)

---

## ტფილისის სობრანიე

შაბათს, 17 ოქტომბერს, 1909 წ.

## საოჯახო საღამო

საღამოზე დაუკრავს საზანდარი.

ანონსი: შემდეგი საოჯახო საღამო კვირას, 18 ოქტომბერს. (509—1)

---

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

---

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოლოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს.** (50—ნ.—37)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„დროების" მე-219 ნომერში დაიბეჭდა არჩ. ჯორჯაძის წერილი „მავნებელი სენი". ავტორი ეხებოდა რუსულ გაზეთების არსებობას ჩვენში. არკვევდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ გაზეთებს ჩვენი ცხოვრებისათვის—მოაქვთ რაიმე სარგებლობა თუ ისინიც ხელს უწყობენ გარუსების პოლიტიკის გამარჯვებას. იმედი გვქონდა, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა შეეხებოდა ამავე საგანს და თავის აზრს გამოსთქვამდა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ „ივერიამ" ამოიღო ხმა. ბ-ნმა კ. თუმანიშვილმა კარგა მოზრდილი წერილი დასტამბა არჩილ ჯორჯაძის წერილის გამო. რას ამბობს „ივერია" თუმანიშვილის პირით:

ბ. ჯორჯაძე ჩვენში რუსულ გაზეთების არსებობას ეხება და ამბობს, რომ ამ გაზეთების არსებობა და ამ გაზეთებში ქართველების თანამშრომლობა ხელს უწყობს ქართველების ეროვნულ გადაგვარებას. „კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელია, ამბობს ბ. ჯორჯაძე, რუსულ გაზეთების გამოცემით ქართველი მოღვაწენი კი ხალხს ამ ენას ართმევენ და ავიწყებინებენ, რადგან ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად და ფართოდ გაავრცელონ თავიანთი ფურცლები ქართულ საზოგადოებაში". რამდენად მართალია ბ. ჯორჯაძის ასეთი შეხედულება? მართლა ხელს უშლის ქართველების ეროვნულ აღორძინებას ჩვენში რუსულ პრესის არსებობა თუ არა? რა არის ამ პრესის არსებობის მიზანი?

თუმანიშვილს მოჰყავს ის სამი მთავარი მიზეზი, რომელთაც არჩ. ჯორჯაძემ დაასახელა და რომელთაც რუსულ გაზეთების მესვეურნი საბუთადა ხმარობენ ხოლმე. აი ეს სამი მიზანი: 1. მთავრობასთან და მთავრობის ამა თუ იმ მოხელესთან გამობაასება. მთავრობაზე და მთავრობის ამა თუ იმ მოხელეზე გავლენის მოპოება; 2. რუსებისთვის ჩვენი თავის გაცნობა და რუს საზოგადოებასთან დაახლოვება და 3. კავკასიელ ერებში სოლიდარობის განმტკიცება; ერთ გაზეთში სხვა და სხვა ეროვნების ინტერესების დაცვა.

თუმანიშვილი მეორე მიზეზს, ეხება და ამბობს:

ჩვენ სრული თანახმა ვართ ბ. ჯორჯაძესი, რომ რუს საზოგადოებასთან ჩვენი დაახლოვების მიზნად დასახვა უსაფუძვლო და უნაყოფოა... სატახტო ქალაქების რუსულ გაზეთში დაბეჭდილ კორესპონდენციას ან წერილს მეტი მნიშვნელობა აქვს რუსეთში ჩვენ შესახების მართალ ცნობების გასავრცელებლად, ვიდრე გამოცემულ ათიოდე გაზეთს და ამ გაზეთის მეთაურებს.

თუმანიშვილს გულუბრყვილობადაც კი მიაჩნია ასეთი მიზნის დასახვა. ჩავყვეთ ქვევით.

სულ სხვაა ქართველების შეკავშირება კავკასიაში მცხოვრებ დანარჩენ ერებთან. აქ გაზეთს, რუსულ გაზეთს დიად სამსახურის გაწევა შეუძლია. რუსული ენა დღეს-დღეობით სახელმწიფო ენაა, ე. ი. ის ენა, რომელიც მიღებულია სალაპარაკოთ იმათში, ვისაც ერთმანეთის ენა არ ესმის, ქართველს სომეხთან მოლაპარაკება თუ უნდა, ძალაუნებურად რუსულს მიმართავს.

რუსული ენა სახელმწიფო ენაა და თუ გვინდა მეზობლებთან შეკავშირება, ამ ენის და ამ ენაზე გამოცემულ გაზეთების საშუალებით უნდა მოვაწყოთ ეს საქმე—თუ ამის თქმა უნდა ბ-ნ თუმანიშვილს, ჩვენის აზრით, იგი შემცდარია. არა გვგონია, არ ესმოდეს ავტორს, რომ სხვა ერებთან დაახლოვება, მათთან სოლიდარობისა და კავშირის განმტკიცება ურუსულ ენოდაც შეგვიძლიან. ყოველ შემთხვევაში ამისთვის სრულებით საჭირო არ არის ხუთ და ექვს რუსულ გაზეთის გამოცემა, ამასთან ისეთ გაზეთისა, რომელსაც მარტო ქართველები სცემენ და კითხულობენ. მაგრამ დავანებოთ ამას თავი. საქმე ის არის, რომ თვითონ ბ-ნი თუმანიშვილი ამბობს, დღევანდელი რუსული გაზეთები ამ მიზანს (ე. ი. ერთა სოლიდარობას) სრულებით არ ემსახურებიანო. ქვევით ბ-ნი თუმანიშვილი ამბობს, რომ რუსული გაზეთები ვერ შესცვლიან ვერც არსებულ მთავრობის სისტემასაო, ესე იგი იმ პოლიტიკას, რომელიც ჩვენში გაბატონებულიო. ამ რიგად, თვით ბ-ნ თუმანიშვილის სიტყვით, ქართველების მიერ გამოცემული გაზეთები ვერ დაგვაახლოვებენ რუსის ინტელიგენციასთან, ვერ შესცვლიან ჩვენში გაბატონებულ პოლიტიკას, ეს გაზეთები ვერ ემსახურებიან ერთა სოლიდარობას ინტერესებს. მაშ რაღა დარჩენილა, რისთვის და ვისთვის არსებობენ ეს გაზეთები. აი ამისი პასუხი:

ადგილობრივი გაზეთი ადგილობრივი ცხოვრების ვიწრო ფარგალში დგას და ამავე ფარგალში რჩება, მას შეუძლია მხოლოდ ამა თუ იმ მოხელის შევლა.

აი, თურმე რა ყოფილა—მოხელის გაგდება. თვით ბ-ნი თუმანიშვილი და სხვა ქართველებიც ამიტომა სცემენ თურმე ხუთ-ექვს რუსულ გაზეთს, რომ ესა თუ ის. არა სასურველი მოხელე

დაითხოვონ. სასაცილოა სწორედ! ჯერ ერთი—განა ღირს ამაზე ამდენ შრომისა და ფულის დახარჯვა და მეორე—ნეტა რამდენი მოხელეა უადგილოდ, რამდენი მთავრობის ბოქაული და მამასახლისი დარბის კუდ ამოძუებული ბ-ნ თუმანიშვილისა და რუსულ გაზეთების სხვა რედაქტორების წყალობით დათხოვნილი?!

ასეთია ბ-ნ თუმანიშვილის საბუთები, მოყვანილი რუსულ გაზეთების საჭიროების დასამტკიცებლად..,

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
16 ოქტომბერი

## საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. კონსერვატორი დენნიკი შეეკითხა ლორდ მაკ-კენნს, მართალია ის ხმა, ვითომ დაკარგულიყოს ის საიდუმლო ნახატები, რომლებიც მთავრობამ გადასცა მექარხნეებს ახალ სისტემის სამხედრო გემის ასაშენებლად და თუ ეს მართალია იმედი აქვს მთავრობას თუ არა, რომ ამ ნახატებს დაიბრუნებსო. მაკ-კენნმა სთქვა: მართალია დაიკარგა ახალი სისტემის გემის ნახატები, მაგრამ ეს გემი უკვე ავაშენეთ, ასე რომ ამ ნახატებს წინანდელი მნიშვნელობა აღარ აქვსო.

**ვეკშე.** დაიწვა მოხუცთა თავშესაფარი. დაიღუპა 6 დედაკაცი.

## რ უ ს ე თ ი

**ორიოლი.** სოფელ სტუდიონი კოლოდეზში უცნობებმა გაცარცვეს სახაზინო არყის დუქანი. ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს მედუქნე და მოსამსახურე.

**ნოვგოროდი.** საღამოთი რამდენიმე ბოროტ-განმზრახველი ქალაქის მთავარ ქუჩაზე თავს დაეცა მაღაზიას. ბოროტ-განმზრახველებმა ვერ მოასწრეს ფულის გატაცება, მძიმედ დასჭრეს მაღაზიის პატრონი და გაიქცნენ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს საადგილ-მამულო კომისიამ განიხილა მცირე კომისიის მოხსენება თავისუფალ სახაზინო მიწების შესახებ. მცირე კომისიის აზრით ეს მიწები გლეხებს უფასოდ უნდა დაურიგდეთ. კომისიამ უარჰყო მცირე კომისიის წინადადება.

სასამართლოთა რეფორმის კომისიამ დაადგინა, სასურველია გამოიცეს კანონი, რომლითაც ადმინისტრაციას უფლება აღარ უნდა ჰქონდეს საეჭვო პირების გადასახლებისა.

**კიევი.** სადგურ დროკის და ტირნოვოს შუა საქონლის მატარებელი დაეჯახა ხარს. მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. დაიმტვრა 15 ვაგონი. სასიკვდილოდ დაშავდა ობერ-კონდუქტორი, მძიმედ—ორი კონდუქტორი.

**ივანოვო-ვოზნესენსკი.** სოფელ დანკოვში გადაიწვა 100 სახლი და საყდარი.

**პეტერბურგი.** საღამოთი გოროხოვი ქუჩაზე, ერთ სახლში, ნაგვის ყუთში აფეთქდა ყუმბარა. მძიმედ დაიჭრა იქვე ახლო მდგომი დურგალი. დაიმტვრა ახლო-მახლო სახლების ფანჯრები. ჯერ არ იციან ვინ ჩასდო ნაგვის ყუთში ყუმბარა.

**პეტერბურგი.** 15 ოქტომბერს ადგილობრივ მეურნეობის საბჭო შეუდგა შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტის განხილვას. ეს კანონ-პროექტი ეხება პოლონეთის ქალაქების თვითმართველობის რეფორმ ს საკითხს. სხდომის დაწყების წინ სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრმა სტოლიპინმა. მან სთქვა: შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ კანონ-პროექტის შედგენის დროს, აზრად ჰქონდა პოლონეთის ქალაქებისთვის ისეთივე თვითმართველობა მიენიჭებინა, როგორც შიდა რუსეთის ქალაქებს აქვთ. სამინისტრომ პოლონეთის ქალაქის თვითმართველობის კანონ-პროექტის შედგენის დროს 1892 წლის დებულებით ისარგებლა. ამასთან სამინისტრომ ისეთ ქალაქებში, რომლებშიაც პოლონელები უმრავლესობას შედგენენ, სახელმწიფოებრივ იდეის დასაცველად ისე მოაწყო საქმე, რომ რუსების უმცირესობას შეძლება მისცა ქალაქის თვითმართველობაში ხმოსნებად გავიდნენ. ჩვენ ველით, რომ პოლონეთის ქალაქებში პოლონური თვით-მართველობა იქნება, მხოლოდ ეს თვით-მართველობა დაექვემდებარება სახელმწიფოებრივ იდეას.—ქალაქის ამომრჩევლებს სამ კურიად გავყოთ: პირველი—რუსებისა, მეორე—ებრაელების და მესამე—დანარჩენ მოქალაქეებისა. თუ ასე არ მოვიქეცით რუსები, როგორც უმცირესობა, თვით-მართველოებებიდან გამოიდევნებიან, ებრაელები კი გაბატონდებიან, რადგან ქალაქებში თითქმის ყველგან უმრავლესობას ესენი შეადგენენ. პროექტით კი ებრაელებს ქალაქის საბჭოს ხმოსნების რიცხვის ერთ მეხუთედს ვაკუთვნებთ. ამას გარდა კანონ-პროექტში წამოყენებულია ახალი პრინციპი—ქალაქების სრული დამოუკიდებლობა კანონიურ ფარგლებში. გუბერნატორს მხოლოდ მაშინ შეუძლიან ჩაერიოს საქმეში, თუ ქალაქის საბჭო თავის კანონიერ მოვალეობას არ ასრულებს. ამ შემთხვევაში გუბერნატორი ქალაქის ხარჯით თვითონ ასრულებს ქალაქის ამა თუ იმ მოვალეობას. ამას გარდა ხელმწიფე-იმპერატორის ნებართვით თვითეულ შემთხვევაში შეიძლება ხმოსნების გადაყენება. რადგან პოლონეთის ქალაქები საზღვარზე მდებარეობენ და ამიტომ მათ ზოგიერთ შემთხვევებში განსაკუთრებული უფლებები აქვთ, ამიტომ კანონ-პროექტით მთავრობას უფლება აქვს ხელმწიფე-იმპერატორის ნებართვით, ქალაქის თვითმართველობის ხმოსნები გადააყენოს და სამი წლით თავისით დანიშნოს ქალაქის საბჭოს წევრები. ქალაქის თვითმართველობაში საქმის წარმოების დროს და სხვა დაწესებულებებთან ურთიერთ დამოკიდებულების დროს რუსული ენა უნდა იხმარებოდეს, თვითმართველობების შინაურ საქმეებში კი პოლონურ ენის ხმარებაც შეიძლება. პოლონელები კულტუროსანი ხალხია, ისინი ღირსნი არიან ისარგებლონ თვითმართველობის ნაყოფით, მაგრამ იმედი მაქვს, რომ პოლონელები ქალაქის თვითმართველობებს პოლიტიკურ ბრძოლის იარაღად არ გადააქცევენ და არ ეცდებიან ისარგებლონ ქალაქის თვითმართველობებით, რომ პოლიტიკური ავტონომია მოიპოვონ.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 11, გარდაიცვალა 6, ავად არის 238 კაცი.

**კოსტრომა.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 6 კაცი.

**სამარა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერით არავინ გამხდარა ავად. უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ავად გახდა 167, გარდაიცვალა 110 კაცი.

# პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

**„დროების“ კანტორა აცხადებს, რომ აგენტად პროვინციაში ჩვენი გაზეთის გაგზავნის საქმეში რჩება ისევ ბ-ნი გაჩეჩილაძე, წინანდელ პირობებით, ამიტომ პროვინციაში აგენტებმა ფული**

ისევ ბ-ნ გაჩეჩილაძეს უნდა გაუგზავნონ.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ქართულ სტამბის იუბილე.** 15 ოქტომბერს ბ ნ გ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობისა. ამ საღამოს განსახილველი იყო მოხსენება მდივნისა—ქართულ სტამბის არსებობის 200 წლის იუბილეს გამართვის შესახებ. ამ სხდომაზე გამგეობამ მოიწვია ქართულ საისტორიო-საეტნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი და გამგეობის წევრნი. შეერთებულმა სხდომამ დაადგინა, დაავალოს წ.-კ საზოგადოების საისტორიო-საარქეოლოგიო სექციას საიუბილეო პროგრამის პირველ მუხლის შესრულება. ამ მუხლის ძალით უნდა გაიმართოს გამოფენა წიგნებისა, გაზეთებისა და სხვა ნაბეჭდ ნიმუშებისა, სასტამბო იარაღისა, დაზგებისა და მანქანებისა დასასურათებლად ქართულ სტამბის განვითარებისა 200 წლის განმავლობაში. პროგრამის მეორე მუხლის შესრულება შეერთებულმა სხდომამ დაავალა, საისტორიო-საეტნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას. მეორე მუხლის ძალით უნდა მოეწყოს ლექციები სტამბისა და სასტამბო ხელობის შესახებ: ა) სტამბის გამოგონება და მისი გავრცელება უცხოეთში; ბ) ქართულ სტამბის ისტორია, მისი წარსული და აწმყო. უნდა გამოიცეს სახალხოდ წიგნაკი ქართულ სტამბის ისტორიის შესახებ და დარიგდეს უფასოდ. ლექციები შემდეგ უნდა დაიბეჭდოს ცალკე წიგნად. მესამე მუხლის შესრულება—შედგენა 200 წლის განმავლობაში არსებულ ქართულ სტამბისა და დაბეჭდილ წიგნების სიის შედგენა—დაევალო წ.-კ. საზოგ. საისტორიო საარქეოლოგიო სექციასვე, ხოლო მე-4 მუხლი პროგრამისა უნდა შეასრულოს საზოგ. ადმინისტრატიულმა სექციამ. მეოთხე მუხლით, უნდა შესდგეს კრება ბეჭდვის საქმის მოღვაწეებისა, მწერლებისა, ასოთ-ამწყობებისა და მესტამბეებისა ქართულ სტამბის დღევანდელ საჭიროების გამოსარკვევად.

✦ **გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების ამბავი,** მოგვივიდა შემდეგი წერილები და დეპეშები: „ახალციხე. ადგილობრივი ქართველნი ვგლოვობთ მოღვაწის და მწერლის გრიგოლ ვოლსკის უდროოდ დაკარგვას. გადაეცით ნუგეში განსვენებულის ჭირისუფლებს. კ. გვარამაძე“. „პეტერბურგი. დაგვალონა მგოსნის და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალებამ. ქართველთა ჯგუფისაგან ალ. ლალიაშვილი“.

✦ **წლიური კრება.** ტფ. გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება მოხდება ხვალ, ამა ოქტომბრის 18-ს, დილის 11 საათზე თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში.

✦ **ცილის-წამება.** 15 ოქტომბერს, ტფ. ოლქის სასამართლოს უნდა გაერჩია „გოლ. კავკაზა“-ს რედაქტორის საქმე. ვასილიევს უჩივის პირველ გიმნაზიის დირექტორი ი. ე. გამყრელიძე. საქმე სასამართლომ აღარ განიხილა, რადგან ვასილიევმა სასამართლოს აცნობა იმ წერილის ავტორის სახელი და გვარი, რომელიც „გოლ. კავკ.“-ში ბ-ნ გამყრელიძეს ცილსა სწამებდა.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა დანიშნულია ორშაბათს, 19 ოქტომბრისათვის.

✦ **სახალხო წარმოდგენების სექცია.** როგორც აღვნიშნეთ, ტფ. სახალხო უნივერსიტეტის სახალხო წარმოდგენების ქართულმა სექციამ მოისურვა დამოუკიდებლად მოქმედება და კიდეც აცნობა თავისი სურვილი უნივერსიტეტს. დამოუკიდებლობის ინიციატორებმა უკვე შეიმუშავეს წესდება ტფილისში ქართულ დრამატიულ წრის დასაარსებლად და პროექტი წესდების დასამტკიცებლად წარუდგინეს სათანადო მთავრობას. ხვალ, 18 ოქტომბერს, სექციის წევრებს საერთო კრება ექნებათ სხვა და სხვა საკითხის განსახილველად.

✦ **რკინის გზა შუშიდან ევლახამდე.** „კავკაზს“ შუშიდან ატყობინებენ: ადგილობრივ მცხოვრებთა ერთი ჯგუფი მოლაპარაკებას შეუდგა ინგლისელ კაპიტალისტებთან ევლახიდან შუშამდე რკინის ვიწრო ლიანდაგიან გზის გაყვანის შესახებ. ეს რკინის გზა, სიგრძით 100 ვერსი იქნება და დაჯდება სამი მილიონი მანეთი.

✦ **სკოლა მაჰმადიან ქართველთათვის.** როგორც ვწერდით, ალავერდის ეპისკოპოსმა დავითმა 400 მან. შესწირა წერა კითხვის საზო-

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „სალომე“, უაილდისა, თარგ. პ. დადვაძისა; სურათები: ჯგუფი სტუდენტებისა - მესამოცე წლებში, არეულობის თვის დაპატიმრებული: ნ. ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ბესარიონ ღოღობერიძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვანი; ესპანელი საზოგადო მოღვაწე ფერერო, 30 სექტემბერს დახვრეტილი; მიხეილ კიკნაძე; თვით მწერავ ტელეფონის გამომგონი პროფეს. ცერებოტინი.**

გადოებას, რომ საზოგადოებამ პირველ დაწყებითი სკოლა დააარსოს. გამგეობამ საჭიროდ დაინახა აღნიშნულ თანხით პირველ - დაწყებით სკოლის დაარსება აჭარაში მაჰმადიან ქართველთათვის და დაადგინა, დაავალოს საზოგადოების ბათუმის განყოფილებას, გამოიკვლიოს სად ემჯობინება სკოლის დაარსება და მანვე იკისროს ამ საქმის მოწყობა და მომავალში მისი ხელმძღვანელობა.

✦ **ლექცია ერობის შესახებ.** ხვალ, 18 ოქტომბერს დილით, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ალ. ი. ხატისოვი წაიკითხავს ლექციას ერობის შესახებ.

✦ **„ჯეჯილი“.** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალის, „ჯეჯილის“ მეცხრე ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობები და წერილები ეკ. გაბაშვილისა, ან. წერეთლისა, ეკ. მესხისა, ქუჩიშვილისა, გეგეჭკორისა და სხვა.

✦ გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა მთიული ანდრია საქარაძე და შემოგვჩივლა თავისი გაჭირვება. ზაქარიძე კახეთ-თიანეთის გზის მოიჯარადრეს ვინმე თ. მურადოვს სამუშაოზე დაუყენებია 1908 წელს. ზაქარიძეს 120 მანეთის საქმე შეუსრულებია და როდესაც განუზრახავს ფულის მიღება, მოიჯარადრე სადღაც მიმალულა.

✦ „კავკ“ სიტყვით, საქართველოს ეგზარქოსის უფლება რუსს მონასტრის ბლაღოჩინად დაუნიშნიათ ტფ. სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი ზორგვირი.

**შეცდომის გასწორება.** „დროების“ მე-228 ნომერში ახალ ამბავში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი: „29 დეკემბერს ტფ. ქართველ ქალთა წრე გამართავს საღამოს „განათლების“ საზოგადოების სასარგებლოდაო“. უნდა იყოს: 29 დეკემბერს „განათლების“ საზოგადოების გამგეობა გამართავს ჩვეულებრივ ისტორიულ საღამოს თავის სკოლის სასარგებლოდ“.

---

# ნისლი

**1.**

თეთრი ნისლი.
წვიმა. ქარი.
მწუხარება.
გლოვა. ზარი.
ფერმიხდილი, ვარდი მჭკნარი.
სდუმს, ყუჩდება მთა და ბარი.
სევდა. ცრემლი.
გული კვნესის!..
ხმა სალხენი
აღარ მესმის!
ვაი, ვიში!..
თრთოლვა, შიში!
ბალახს თრთვილი ტურფად ჰქარგავს,
თან მოუთხრობს მწარე ამბავს:
„მოგკლავ, მოგკლავ
„და დაგმარხავ!
„მზის ცხოველ სხივს
„ველარ ჰნახავ!
გრიგალი ჰქრის,
მთის ნაძვი ჰკრთის,
თავს დაბლა ჰხრის,
ჩუმად სტირის!..

**2.**

მოვწყვიტე ია, გულში ჩავიკარ.
მეგონა ბედკრულს მიერთგულებდა;
დაჰბერა სიომ, ჩამოწვა ნისლი...
ჩაჰკნა და სურნელს აღარ აბნევდა.
სული დაღონდა, იგრძნო ობლობა...
ია თან დამაქვს სუნმილებული;
და ვუფრთხილდები, ვით წმინდა ნაშთსა,
გულს ჩავიქსოვე ფერფლად ქცეული!.

**3.**

ჯერ კიდევ გუშინ ჩემთან ჰხაროდი,
ღიმილი ტუჩზე დაგთამაშებდა;
ერთად ვისხედით წყლისა კიდესა,
ნიავი ჭავლსა ოდნავ არხევდა!
კავებ გაშლილი მკერდს მეყრდნობოდი,
ჩემს ნასუნთქს ჰაერს შენა ჰსუნთქავდი;
ვნებით დამთვრალსა მიმღერდი ნანას,
ხან მალხენდი და ხან ტანჯვით მკლავდი!..
მაგრამ ჩვენს ახლოს ნისლი შემოწვა,
თან გაგიტაცა, შეგასხა ფრთები;
რისთვისა გნახე, რად შეგიყვარე?
მოდი, მიშველე,—უშენოდ ვკვდები!

**4.**

ოდეს ნისლი თავს მევლება,—
სატრფოც ახლო მეგულება!
ოდეს ცვარი თმას მინამავს,—
მისი ცრემლი შეპკურება!..
მსურს მეც ნისლად გარდავიქცე,
მსურს სატრფოსთან დავდნე ცრემლად;
და დამწვარს გულს სიყვარულით
მოვევლინო შვება-ლხენად!..

**5.**

ბაღში შეგხვდი, ყვავილს ჰკრეფდი,
შემოგხედე—შემიყვარდი;
გამიღიმე მშვიდად, წყნარად,
გამიფანტე გულის დარდი.
მაკოცე და მსწრაფლ გაჰფრინდი,
შემოდგომის ნისლს მოჰფარდი,
და დამიჰკნა ადრე ხელში
გაზაფხულის თეთრი ვარდი!

—

სანეტაროვ! ჩაქრა შუქი,
შენგნით გული აწ მკვდარია;
ვაგლახ! ქალის სიყვარული
გაზაფხულის ზღაპარია!..

**6.**

ჩემი გვირგვინი, სატრფოს მოძღვნილი,
ნორჩ ნარგიზთაგან მთაზე შეკრული,
ადრე დააჭკნო ნისლმა, სიცივემ
და გაცრცვნილს ვუმზერ დაღონებული.
ოჰ, მოციმციმევ, ბედის ვარსკვლავო,
მითხარ გვირგვინი ვინ გამიხმოს;
ვაჰ, გულცივობამ დააჭკნო იგი,—
ნეტა სამარეც მან გამითხაროს!
ჰგვანდი გაზაფხულს,—შემოდგომა ხარ!
ველარ გაგათბობს მზე სხივოსანი;
საით მიჰფრინავ, სხივებს ვის აფრქვევ,
ვისზე გასცვალე შენი მგოსანი?

**7.**

ქარი ზუზუნებს... ბინდმა მოიცვა...
მწარედ ქვითინებს მშობელი მხარე;
ყველას დავშორდი, გამოვეთხოვე,
უკანასკნელი ცრემლი დავღვარე!
ყვავილსა სცვივა ბაღში ფოთოლი,
ღამის გრიგალი მას შორს იტაცებს;
ვდგევარ მარტოკა მწირი, ობოლი...
სულსა ალერსი ველარ აღაგზნებს!..
მშვიდობით, ჩემო მოგონებანო,
მშვიდობით ჩანგო, ტკბილო ებანო!
თქვენით ეს გული ველარ დასტკბება,
სატრფოსგან საფლავს დაიმარხება!..

**8.**

როდესაც მოვკვდე, ტურფავ, ამას გთხოვ:
შავად მოსილმა ჰნახე სამარე;
თუ ფრთა შეგახო ნისლმა ანაზდად,
ჩემთან მოკითხვა მას დააბარე.
ის იყო მხოლოდ ჩვენი მოწამე,
როს დაღონებულს მეთხოვებოდი;
გრისხავდი, მაგრამ, ჩემო ოცნებავ,
მე ანგელოზად მეჩვენებოდი!

**9.**

მხოლოდ ნისლი და ცრემლები
მიხუთავენ სულს და გულსა;
მომავალსა ექვით ვუმზერ,
არც აწმყო მფენს სიხარულსა!
სატრფოც ნისლად გარდაიქცა,
ნამად სხვა ვარდს ეპკურება:
ჩანგი ჰკვნესის, ჩანგი ჰგოდებს,
უფსკრული ბანს ეუბნება!..

**ა. შანშიაშვილი.**

# ხალხური თქმულება

(ჩაწერილი სოფ. ერთაწმინდაში ეკატერინე კარგარეთლისაგან)

ვის არ გაუგონია ხალხური ანდაზა. რომელ ქართველს არ უხმარია იგი ბაასის დროს და არ დაუდასტურებია თავისი სიტყვა თუ ჰაზრი ხალხურ აფორიზმით! იგი მრავლად არის გაბნეული ხალხში და ყველის მუშაკს, რომელიც შეჰკრებს, თავს მოუყრის ამ ხალხურ საუნჯეს და მით მკვეთრად აღნიშნავს სიმდიდრეს ქართველ ერის სულიერ შემოქმედების სალაროსას. მართალია, დღეს თითქმის ყველა დარგი ხალხის სულიერ ცხოვრებისა ბედის ანაბრად არის მიტოვებული და თუ გაკეთებულა რამე ამ დარგში, იმასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. პირადად მე ღრმადა მწამს, რომ მოვა დრო, როდესაც საგნის სიდიდით დაიძლევა ჩვენი გულგრილობა ყოველივე ხალხურისადმი და არა ერთი და ორი გავა ხალხში ჩამუშაოდ,—ხალხის სულიერ ცხოვრების ამა თუ იმ დარგის შესასწავლად და აღსანიშნავად. უნდა გვწამდეს და გვახსოვდეს კიდევ, რომ ხალხშია ჩვენი არსებობის ძალი და ღონე და ამისი უარყოფა ჩვენივე არსებობის უარყოფა იქნება.

საგანი, რომელიც ზემორე გაკვრით აღვნიშნეთ,—ხალხური ანდაზა-აფორიზმები,—ჩვენი ერის სულიერ ცხოვრების ერთ-ერთ დარგს შეადგენს. ამ ანდაზა-აფორიზმების მიმდინარეობის ისტორია ხალხს უთქვამს მრავალ ჟამთა წინაშე. დროთა მსვლელობაში თქმულება მოდენილა გარდმოცემით და სამოყალიბებულა ერთ ან რამდენსამე წინადადება-აფორიზმად, რომელიც ეხლა ხალხურ სიბრძნეს ანუ ანდაზას შეადგენს. თვით ეს თქმულებები ღირსაღსანიშნავია, ვინაიდან მათში გამოიხატება ძალა ხალხის შემოქმედებისა, მისი შეხედულება ამა თუ იმ მოვლენაზე. პირადად ჩვენ რამდენიმე შემთხვევა გვქონდა ანდაზების მოსმენის დროს დავრწმუნებულიყავით ამ მოსაზრებაში და აი აქ მოგვყავს კიდეც ანდაზა და მისი წინამორბედი თქმულება.

მკითხველს არა ერთხელ მოუსმენია სოფლად თუ ქალაქად ანდაზა: „ღმერთი როგორც გააჩენს, ისე დაარჩენსო.“

მოხუცმა მანდილოსანმა ლაპარაკში ჩაურთო: „მაგრამ არა უშავსრა, ღმერთი როგორც გააჩენს კაცს, ისე დაარჩენსო“. მე შევეკითხე: რაზეა, დიდი-დედო, ეგ ანდაზა ნათქვამი, ან საიდან წარმომდგარა ეგა მეთქი, და მიამბო: დილით, რიჟრაჟს, ოდეს სიბნელე და სინათლე იყრებიან პირსა ზედა დედამიწისასა, უფალი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, იჯდა ამბიონსა თვისსა, ეპყრა ხელთ სკიპტრი და სამყარო თვისი. მოვიდიან სხვადა სხვა კუთხიდან ქერუბიმნი, სერაბიმნი და ანგელოზნი, წარსდგებიან წინაშე უფლისა სათითაოდა და ეტყვიან: კურთხეულ არს სახელი შენი უფალო, შემოქმედო ცათა და ქვეყანისა! ყოველი პირი აქებს და ადიდებს სახელსა შენსა, სავსე არიან ცანი და ქვეყანანი დიდებითა შენითა. წარსდგნენ ბოლოს ანგელოზნიც და მოახსენეს:

— უფალო, მრავალი აქებს და ადიდებს სახელსა შენსა, მრავალ არს წყალობა შენი, კაცსა ზედა მომადლებული. მაგრამ ერთ ადგილას ვიხილეთ წამებულნი, რომელნიც განიცდიან ტანჯვას, ვაებას; წამებულნი დღენი მათნი არ შეესაბამების მფლობელთა სამოთხესა თქვენთასა. მოვიარეთ სამყარო, ვნახეთ ერთგან ქოხი დავრდომილისა: წევს ქოხში კერას წინ ძონძებში გამოხვეული სულთმობრძავი დედაბერი. გარშემო შემოხვევია ოთხი ობოლი. შესტირიან, დედა, პური გვშიან, პურიო. მის გამხმარ ძუძუს მივარდნია ძუძუთა, მაგრამ ამაოდ... მათი ტირილი მდინარეთა ქუხილს და ქარ-

# მოწერილი ამბები

**სოფ. კულაში** (ქუთ. მაზრა). ერთ თვეზე მეტია, რაც აქ გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ საცავი—უფასო სამკითხველო, რომლის გამგედ დამტკიცებულია კნ. პელაგია მიქელაძისა. ჯერ-ჯერობით სამკითხველოს საქმე რიგიანად მიდის. ამ დღეებში სამკითხველოს გამგემ ნებართვა აიღო, საღამო გამართოს ზემო აღნიშნულ სამკითხველოს სასარგებლოდ. საღამო გამართება შაბათს, 18 ოქტომბერს. იმედი გვაქვს, საღამოს ბევრი ხალხი დაესწრება.

გამგეს აზრადა აქვს აგრეთვე სცენის მოყვარეთა დახმარებით სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენაც გამართოს.

**ვარლამ იმერელი.**

—

**ბეჟანთუბანი.** (შორაპნის მაზრა). 1907 წლის 20 ქრისტიშობისთვეს თავადი გიორგი ამილახვარი მოვიდა ბეჟანთუბნის სასოფლო კანცელარიაში და მამასახლისს დააბარებინა სოფ. ჩრდილისა და დეისის გლეხები. თავ. ამილახვარს ამ ორ სოფელში მამული აქვს, თითქმის 1500 ქცევა. აპირებდა ამ მამულის გაყიდვას. როდესაც გლეხები შეიკრიბნენ ამილახვარმა გამოუცხადა: იყიდეთ ჩემი მამული, ქცევაში ოთხი თუმანი მომეცითო. ამილახვარმა ამას ისიც დაუმატა, რომ თუ მამულს არ იყიდით, აგდებთ, გიჩივლებთ და 6000 მანეთს გადაგახდევინებთ, მთძრაობის დროს რომ ტყე გამიჩეხეთო. ამ სოფლების გლეხობა ძალიან ღარიბია. რა თქმა უნდა, არ შეეძლო ამ გლეხობას ერთბაშად 63,000 მანეთის მიცემა. სად იშოვნიდენ ამდენ ფულს. მაშინ თავ. ამილახვარმა განკარგულება გასცა, აეწერათ ვისაც ახალი სახლები ჰქონდა. ეს განკარგულება მუქარა იყო—თუ არ იყიდით, ტყის გაჩეხის ფულს გადაგახდევინებთო. მოურავმა ითსებ ყანჩაველმა ფიცხლავ დაირბინა სოფლები, ვისაც ახალი სახლი ჰქონდა, ასწერა და შიგ აღნიშნა, სახლების მასალა ამილახვრის ტყიდანაა გამოტანილიო. სახლების აწერის დროს ბევრი გლეხი ცდილობდა თავი გაემართლებინა, ეუბნეოდა, მასალა ვიყიდე სხვისაგანაო, მაგრამ ისეთ ღვთის რისხვა ადამიანისათვის, როგორიც იოსებ ყანჩაველია, ეს თავის მართლება უდიდეს კადნიერებად ითვლებოდა და მათრახი თავისუფლად დათარეშობდა. ასწერეს სახლები. შეადგინეს სია იმ პირთა, ვინც ვითომდა თავ. ამილახვრის ტყიდან ხეტყე გამოზიდა და სახლები ააგო. შემდეგ უბრძანეს ნაცვალს, ამ ქაღალდს შენი ბეჭედი დააკარიო. დაემუქრნენ კიდეც. ნაცვალს მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა აესრულებინა ბრძანება და ბეჭდით შეამოწმა სია. პატარა ხნის შემდეგ ამილახვარი კიდევ ეწვია სოფელს, დაიბარა გლეხები და კიდევ მიმართა, იყიდით თუ არა ჩემს მამულსაო. გლეხების მდგომარეობა ისეთივე იყო:—ფული, ისიც ამდენი, იმ ჟამად არა ჰქონდათ. გლეხებისთვის სიცივესა და ქარბუქში მოეყარათ თავი კანცელარიასთან. საღამომდის სიცივით დაიხოცნენ. ძალიან გაუჭირდათ საქმე გლეხებს. მიმართეს მაზრის უფროსს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს გააკეთეს ნასყიდობის ქაღალდი, ჯარიმაც კი ჩააწერინეს; თუ ვინიცობაა გლეხები უმტყუნებდნენ ამილახვარს, 6000 მანეთი უნდა გადაეხადათ იმის სასარგებლოდ. ამ წლის ივლისში, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა მისწერა გლეხებს, 58,200 მანეთი გადაიხადეთ ამილახვრის სასარგებლოდაო. გლეხებმა აირჩიეს კაცები და, როგორც გაზეთებში უკვე იყო მოხსენებული, მიმართეს დეპუტატ გეგეჭკორსაც. ამ უკანასკნელმა ნამესტნიკს მიმართა. ნამესტნიკმა გაიგო საქმის ვითარება და მისწერა გენ.-გუბერნატორს, შეაჩერეთ ფულის გადახდევინებაო. თავ. ამილახვარმა და გლეხებმა თავიანთი დავა სასამართლოთი გადასწყვიტონო, პოლიცია საქმეში ნუ ჩაერევაო. გლეხების წარმომადგენლებმა 25 ენკენისთვეს გამოიტანეს ნამესტნიკის დადგენილების პირი და ეხლა საქმე სასამართლოში უნდა გაირჩეს.

**გლეხების რწმუნებული.**

# მინიატიურები

## ყელსახვევის ნაფლეთები

ცხოვრების სუსხმა ორმოცდაათი წელი სცემა. შავ თმას სხივი დაეკარგა. თეთრს პირის კანს ულიმლამო ნაცრის ფერი გადაეფარა. სრიალა თვალები გაშრა.

ერთხელ ისიც იყო ჯანსაღი, ულვაშებ მოღერილი. სისხლი უჩქეფდა, ოცნება ნავარდობდა.

ეხლა კი, დილით რომ ადგება, ძლივს ამოიფშვნეტს თვალებს, ძლივს ჩაიცვამს, ძლივს აათრევს ფეხებს.

მაგრამ ერთი წამალი აქვს, ერთი თილისმა აქვს; იგია რომ ძალას აძლევს, სულს მოუბრუნებს და ყოველდღიურ მძიმე სამუშაოსთვის განამზადებს.

წარსულ დღეთაგან ახსოვს მხოლოდ უმადური, აუტანელი, შავი მუშაობა, ტკბილ ოცნების ყოველ წუთში შეხუთვა და მკაცრი სინამდვილის ბრჭყალები.

მხოლოდ ერთხელ მოურიდებელმა ოცნებამ სიამოვნებით თავი დახარა ცოცხალი სურათის წინ.

წმინდა ალტაცება ხანმოკლე იყო, ნეტარება ხომ იყო მაინც.

ბავშვებისთვის გამართულ საღამოზე შეხვდნენ ერთმანერთს.

ვაჟი ბავშვების დამრიგებელი იყო და მოუხეშავი, ტლუ ბიჭი მისთვის შეუხამებელ სინაზით უვლიდა პატარებს.

ქალი ეხლა ათავებდა სასწავლებელს და გრძნობდა მიმალულ დედობრივ გრძნობას პატარებისადმი.

ბავშვების სიყვარულმა დაახლოვა ისინი.

როცა სიმღერის შემდეგ ყმაწვილს უნდოდა აივანზე გასულიყო, ქალწულმა თანაგრძნობით (ვინ იცის, იქნებ, სიყვარულითაც კი?) მიაძახა:

— არ გაცივდეთ!

— ბავშვები გაიქცნენ გარეთ და უნდა გავყვე—უპასუხა ყმაწვილმა და ჩქარა გაემართა კარებისკენ. ქალი საჩქაროდ დაეწია და თავისი თხელი ყელსახვევი თითქმის ძალით შემოახვია ყელზე.

სალამო გათავდა. ყველა წავიდ წამოვიდა. დამრიგებელმა შეამჩნია დარჩენილი ყელსახვევი. ვისია? იმისი! იმ სანდომიანი, ბავშვებისადმი სიყვარულით სავსე, ყმაწვილ ქალისა, დღეს რომ ისე უბრალოთ, უმანქვაგრეხოთ გვერდში ედგა და ეხმარებოდა.

განგებ დასტოვა? — ჰფიქრობდა ყმაწვილი-უსათუოდ! თქმა სურდა რაღაცასი და ვერ ?ოახერხა—მორცხვობდა. ეხლა მე უნდა უთხრა.

და ყმაწვილი ჰკეცდა და შლიდა, ყელზე იხვევდა და უბეში ინახავდა ყელსახვევს.

„დღეს გეტყვი, გამოუცხადებ გულისნადებს... არა, ხვალ..· არა, ზეგ.... მშობლები არ დასთანხმდებიან, ტყული იმედია. თვითონაც არ ინდომებს... მაშინ მოისურვა, ეხლა კი უარს მეტყვის... მე ღირსი არა ვარ.... იგი ხელს შემიშლის ჩემს საქმეში...“—და ამ ფიქრებში, მწარტკბილ ფიქრებში, თავის თავთან კამათში გავიდა კვირა, თვე...

სრულიად განშორდნენ ერთმანერთს. გავიდა წელი ერთი, ათი, ოცი...,

ყელსახვევი დაიხა. ნაფლეთები ღა დარჩა. თხელ გაზეთშია გახვეული ნაშთი ერთად-ერთის სიყვარულისა, წმინდა სიყვარულისა. უმწვერვალესს მწუხარებისა, სევდისა, და სისუსტის დროს მას დახედავს ხოლმე წელში გატეხილი მიჯნური, და სასწაულებრივ მოქმედებს ყელსახვევის ნაფლეთები: მიბნედილ მაჯის ცემას, მიძინებულ თვალებს, დაქანცულ სხეულს ახალს სულს უდგამს, ახალს ძალას ჰბერავს.... ყელსახვევის ნაფლეთები.

შენის ცხოვრებიდან არის აღებული ეს სურათი მორცხვის, მაგრამ სამარადისო სიყვარულისა. შენთვის მინდოდა მეძღვნა, რაც შენვე უნებლიეთ მიკარნახე. მაგრამ უმაღლესი გრძნობანი დღეს სასაცილოდ არიან აღებულნი, და არ მინდა ვინმე ხეპრეს შენი წმინდათა წმინდა შევალახვინო. შენ უმნიშვნელოდ არ გიცხოვრნია: მხოლოდ ასეთი სპეტაკი, ღრმა სულის მოძრაობანი რჩებიან უკვდავად—ისინი ამშვენებენ, აცისკროვნებენ მურტალ ცხოვრებას.

**ნ. ლორთქიფანიძე.**

# მშობელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ

არსად იმდენს არა ყვირიან—ჩვენი წარსული არ ვიცით, სამშობლო ლიტერატურას არ ვიცნობთ, დედაენას ვივიწყებთ, საყმაწვილო მწერლობა არ გვივარგაო და სხვა, როგორც ჩვენში. და იმავე დროს არსად ისე მალე არ ივიწყებენ ამ გულსაკლავ შენიშვნას, როგორც ჩვენში. ჩვენ მხოლოდ ვყვირით, ქვეყანას ვაყრუებთ; საქმით კი თითის განძრევაც არა გვსურს. არა თუ ახალს არაფერს ვაკეთებთ, ხშირად, ძალიან ხშირად, იმისი გაცნობაც კი გვეზარება, რაც უახლოეს ხანაში წარსულ თაობას გაუკეთებია.

ავიღოთ თუნდ ჩვენი საყმაწვილო მწერლობა, რომლის ნამდვილი ისტორია მხოლოდ მას აქეთ იწყება, რაც ჩვენში საყმაწვილო ჟურნალების გამოცემა დაიწყეს. როგორც მკითხველი დაგვეთანხმება, ამ ჟურნალთა შორის ყველაზე მეტი ღვაწლი ჩვენი საზოგადოების წინაშე „ჯეჯილს“ მიუძღვის, რომელსაც მომავალ წელს ოცი წელიწადი (1890 წლიდან) შეუსრულდება, რაც ჩვენ მოზარდ თაობის აღზრდა-განვითარების საქმეს ემსახურება. მაგრამ, ეჭვი არ არის, დღევანდელ მშობელთა და, არა თუ მშობელთა, მასწავლებელთა შორისაც კი, რომელთა ხელშიაც ამ თაობის აღზრდის საქმეა, ორიც არ მოიპოვება, რომელიც ამ სიმპატიურ ჟურნალის ძველი ნომრების შინაარსს ზერელეთ მაინც იცნობდეს ან, სურვილი ჰქონდეს გაეცნოს და მოზარდ თაობას იქიდან გონებრივი რამ საზრდო მიაწოდოს...

მერე, არ იკითხავთ, რა უხვი მასალაა მოქცეული ამ პატარა ჟურნალში მას აქეთ, რაც იგი არსებობს!! არ დარჩენილა, საზოგადოდ, საყმაწვილო მწერლობის არც ერთი დარგი, რომლის ნიმუშებიც ამ ჟურნალში არ მოიპოვებოდეს: საბავშვო ლექსები, საყმაწვილო მოთხრობანი, ხალხური სიტყვიერება, ბუნების მეცნიერება, ისტორია, თამაშობანი, რებუსები და სხვა,—აი რა მრავალგვარ მასალისგან შესდგება ამ ჟურნალის შინაარსი. დღეს, როცა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მედგრად მოითხოვა ქართულ სახელმძღვანელოების შედგენა, ძლიერ ხშირად გვესმის: „სამეცნიერო ტერმინები არა გვაქვს და რა გზით შევძლებთ ასე პირდაპირ სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენასაო“. ასე წუწუნებს ჩვენი ვითომ და მეცნიერი, მაგრამ ნამდვილად კი უვიცი, დიპლომიან და უდიპლომო პედაგოგების ერთი ჯგუფი. ჩვენი საზოგადოებაც მზად არის ამ წუწუნს დაუჯეროს. მეორე ჯგუფი კიდევ სხვას ლაღადებს: „გვეუბნებიან—ყმაწვილები თავიდანვე დედა-ენაზე საყმაწვილო ხელოვნურ ლიტერატურის კითხვას მიაჩვიეთო, მაგრამ რა ვქნათ, რომ ამგვარი ლიტერატურა არ მოგვეპოვება ან, იმდენად ღარიბი მწერლობა გვაქვს, რომ მისი ნიმუშები თითებზე შეიძლება ჩამოითვალოსო“. და ჩვენც მზადა ვართ, ამ ლაღადსაც ყური ვათხოვოთ და დავუჯეროთ. მაგრამ არც ერთ მშობელს აზრად არ მოუვა ამ პედაგოგების წუწუნსა და ლაღადს კბილი გაუშინჯოს, მისი საფუძვლიანობა შეამოწმოს... მართლა არ მოგვეპოება საყმაწვილო სამეცნიერო და ხელოვნური ლიტერატურა, თუ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი, ჩვენებური, სანაცარქექიო წუწუნია ზარმაც კაცისა (ამ შემთხვევაში—პედაგოგისა), რომელსაც ხალისი არა აქვს, ცოტა ხელი გაანძრიოს წინა თაობის ნამუშევარს გაეცნოს და მოზარდ თაობასაც იქიდან შესაფერი მასალა მიაწოდოს.

დარწმუნებული ვართ, ვინც „ჯეჯილის“ ძველ ნომრებს გაიცნობს (1890 წლიდან), ადვილად დაგვეთანხმება, რომ ჩვენს კვალობაზე საკმაოდ მდიდარი საყმაწვილო ხელოვნური და სამეცნიერო ლიტერატურა მოგვეპოება, მხოლოდ საჭიროა მისი შესწავლა და მოზარდ თაობისთვის მიწოდება. „ჯეჯილის“ რედაქციაში ჟურნალის თითქმის ყველა წლის ძველი ნომრები მოიპოვება და სასწავლებლებსა და ოჯახებს შეუძლიან ხელმისაწვდომ ფასად შეიძინონ.

რომ ჩვენ მიერ ზემოდ ამ ჟურნალის შინაარსის შესახებ ნათქვამი დაუსაბუთებელი არ დაგვირჩეს, სანიმუშოდ აქვე დავასახელებთ უმთავრესს სტატიებსა და მოთხრობებს, რომელნიც „ჯეჯილში“ იბეჭდებოდნენ.

### 1. ბუნებისმეტყველება და გეოგრაფია:

1. პატარ-პატარა სამეცნიერო წერილები, ილ. ალხაზიშვილისა (1890-91-92-93 წლის ნომრებში).
2. წყლის სამეფო (1891 წ.)
3. ამბები ფრინველების ცხოვრებიდან (1891 წ.).
4. რძიანი მცენარეები (1893-94 წ.).
5. დედა-მიწის გულის ამბავი, შვედოვისა (1894 წ.).
6. სამყარო, გერშტეტერის თხზულებიდან (1891-92 წ.).
7. უზარმაზარი ცხოველები, ილ. ალხაზიშვილისა (1895 წ.).
8. პირველი ცნობები ბუნებაზე (პოლმერიდან (1895 წ.).
9. პირუტყვთა ჭკუა-გონება, თ. კანდელაკისა (1896-1898 წ.).
10. ბუნების საკვირველებანი, ილ. ალხაზიშვილისა (1896-1899 წ.).
11. ფიზიოლოგიური წერილები, ივ. გომართლისა (1898 წ.).
12. დედა-მიწა, მზე, მთვარე და პლანეტები, მისივე (1899 წ.).
13. უწინდელი ცხოველები, მისივე (1901 წ.).
14. მცენარე და მისი ცხოვრება, მისივე (1901 წ.).
15. ბუნება და მისი ცხოვრება, მისივე (1902 წ.).
16. მზე და მისი მნიშვნელობა დედამიწისათვის, მისივე (1902 წ.).
17. დედა-მიწის ისტორია, მისივე (1903 წელს.).
18. ფიზიკური გეოგრაფია, ს. ი—სა (1904 წ.) და მრავალნი სხვა.

### 2. ისტორია და ბიოგრაფია:

1. გელათის მონასტერი, გ. წერეთლისა (1890 წ.).
2. ჩვენი ძველი გმირები, მისივე (1892—93 წ.).
3. ფარნავაზი (1897 წ.).
4. სპარსეთის მეფე კამბიზი, ყუმისთაველისა (1901 წ.).
5. ძველი ისტორია, ლავისისა (1903 წ.).
6. თამარ-მეფე, დ. კარიჭაშვილისა (1903 წ.).
7. დავით აღმაშენებელი, მისივე (1904 წ.)
8. თათრების მფლობელობა საქართველოში, მისივე (1905 წ.).
9. გიორგი ბრწყინვალე, მისივე (1905 წ.).
10. თეიმურაზ მეფის კურთხევა, ალ. სარაჯიშვილისა (1904—1905 წ.).
11. ვახტანგ V-ის დარბაზობა, მისივე (1905 წ.) და სხვანი.
12. **ბიოგრაფიები:** დიმ. ბაქრაძე, რაფ. ერისთავი, გაბრიელ ეპისკოპოსი; გუტენბერგი, გალილეი, ლინნეი, არქიმედი, ეზოპი, ფრანკლინი, გარიბალდი, კოპერნიკი, პესტალოცცი, პასკალი, ჟან-დარკი; პეტრე დიდი, პუშკინი; სერ. მესხი, აქვს. ცაგარელი, გიორგი წერეთელი და სხვ. (1891—1902 წ.).

### 3. მოთხრობანი და ლექსები:

მოთხრობები:

1. აკაკი წერეთლისა: „პატარა ტარიელი“ (1897, V).
2. თედ. რაზიკაშვილისა: „იის ამბავი“, „ნიბლია“, „ფალავნები“, «ფითრი» (96 წ.), „ხვავი“ (97 წ.), «ობოზა» (98 წ.), „ცირცელა“ (99 წ.), „ერთხელ გაძღა“ (1902 წ.), „მონადირე“ (1903 წ.), „ხავსი“ (1904 წ.) და სხვანი.
3. ეკატ. გაბაშვილისა: (ბევრი მათგანი ცალკე წიგნადაც გამოვიდა; აქ მხოლოდ იმ მოთხრობებს დავასახელებთ, რომელნიც ცალკე არ გამოსულან) „თეკლეს ახალი წელიწადი“ (1903 წ.), «დედის მარჯვენა ხელი» (1904 წ.), «რად წაიყვანეს» (1905 წ.), „მამა დაბრუნდა“ (1905 წ.), „ისიც ადამიანი ყოფილა“ (1906 წ.) და სხვანი.
4. დუტუ მეგრელისა, შიო არაგვისპირელისა, ვაჟა-ფშაველასი (ცალკე წიგნადაც გამოსულია), თედო. ხუსკივაძისა, პართენ გოთუასი («ფელამუში», „კინია“, «ბზიკი» და სხვ.), ვ. ბარნოვისა, თედო. კანდელაკისა და სხვებისა...

**ლექსები:**

1890 წელს: „ჯეჯილი“ ვაჟა-ფშაველასი, „მერცხლის და ჭივჭავის ომი“ აკაკისა, „ბაზალეთის ტბა“ ილ. ჭავჭავაძისა, „შვიდნი ვართ“ თარგ. რ. ერისთავისა, „წიწილა“ ვაჟა-ფშაველასი, „მზე და მთვარე“ აკაკისა, „ვასიკოს თავ-გადასავალი“ ვახტანგ ორბელიანისა, „გაზაფხული“ შ. მღვიმელისა, „გუთნის დედის სიმღერა“ თ. რაზიკაშვილისა, „არწივი“ აკაკისა, „მთის წყარო“ დუტუ მეგრელისა, „ლექსო“ ხილოვანისა, „ბედურა ჩიტის ამბავი“ შიო მღვიმელისა.

1891 წელს: „ობოლი“ შიო მღვიმელისა, „ვირი და მგელი“ აკაკისა, „შვილის შვილი და ბებია“ შიო მღვიმელისა, „ოჯახის გამხარებელნი“ მისივე, „მკათათვე“ მისივე“, „ბაყაყი და მორიელი“ აკაკისა, „ჩიტმა რა უთხრა იასა“ თ. რაზიკაშვილისა, „კატა და ლომი“ აკაკისა, „დათვი და მელა“ მისივე, „ღამე“ შ. მღვიმელისა, „ოთხი სურათი“ მაჩხანელისა.

1892 წელს: „ობოლი და დედა მისი“ აკაკისა, „დათვი“ მისივე, „ციცუნია“ შიო მღვიმელისა, „ოთხი ძმა პეპელა“ მისივე, „ტყის მეფე“ მისივე, „ანნა ბულბული“ პოემა ვაჟა-ფშაველასი, „მეჯლისი ლომისა“ მისივე.

1893 წელს: „ნუცას სიზმარი“ შ. მღვიმელისა, „გაზაფხული“ აკაკისა.

1894 წელს: „ახალი წელიწადი“ შ. მღვიმელისა, „ორი ობოლი“ მისივე, „კრუხი და ჩხიკვი“ ბაჩანასი, „ჩემ მაქროს“ ბარბარე ჯორჯაძისა, „დედის ლოცვა“ დუტუ მეგრელისა.

1895 წელს: „პატარა მალვა“ შ. მღვიმელისა, „ჩემი თხა“ აკაკისა, „ობოლი“, ხალხური, მისივე, „არწივი და ყვავი“ ვაჟა-ფშაველასი.

1896 წელს. „დედის მოთქმა“ შიო მღვიმელისა.

1897 წელს: „მშობლის ნანა“ შ. მღვიმელისა.

1898 წელს: „სიკვდილი“ აკაკისა, „ტყის სურათები“ შ. მღვიმელისა.

1899 წელს: „მებადური და ოქროს თევზი“ რაფ. ერისთავისა, „შავი ცხვარი“ დ. თომაშვილისა, „დედა და შვილი“ ვაჟა-ფშაველასი, „ორი [illegible]“ მისივე, „დოვლათი“ [illegible] თ. [illegible]შვილისა, „ორი [illegible] ამბავი“ შ. მღვიმელისა.

1900 წელს: „ცელქი ხანდრო“ განდეგილისა, „სურათი“ დუტუ მეგრელისა.

1901 წელს: „შედარება“ აკაკისა, „პატარა ქართველი“ დუტუ მეგრელისა.

1902 წელს: „პატარა ამბავი“ აკაკისა, „კრავი“ მისივე, „პატარა მათხოვარი“ მისივე, „სოფლელი და მელა“ მისივე, „თრითინა“ მისივე.

1903 წელს: „ჭრელი ცხვრები“ აკაკისა, „ღამის თევა“ მისივე, „ვირი და სოფლელი“ მისივე, „ფოლადი“ მისივე, „ამბავი მმობილებისა“ ბაჩანასი, „პატარა მკითხველებს“ შ. მღვიმელისა.

1904 წელს: „ელას დედოფალა“ აკაკისა „ჯეჯილს“ შ. მღვიმელისა.

1905 წელს: „მიმკვლევა“ აკაკისა, „ობოლი ქალი“ შ. მღვიმელისა.

1906—7 წელს: „მობის ხე და ჩიტი„ ქოჩასი, „იაპონური ზღაპარი“ მისივე.

1908 წელს: „პატარა თამრო“ ქოჩასი.

ამას გარდა ჟურნალის პირველ წლების ნომრებში იბეჭდებოდა ქართულ თამაშობათა აღწერა, რაც დღეს დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს გადაგვარებულსა და ახალთაობის გადამგვარებელ პედაგოგებს, რომელნიც ქართველ ბავშვებს მიყრუებულ სოფლებშიაც კი სხვა სათამაშო გართობას ვერას აწვდიან, გარდა რუსული „ჟმურკი“-სა და „კოშკა-მიშკობია“-სი. ან-კი რა ჰქმნან: თვითონ ხომ ყოველივე მშობლიური დავიწყებული აქვთ, მოწაფეებს რას მისცემენ მშობლიურს?!.

**ს. ინ—კანელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**მოსკოვი.** („მეუღლენი“, პიესა აიზმანისა. საიმპერატორო პატარა თეატრი). ვერას გაგიჟებით უყვარს თავისი ქმარი—სერგეი. სულ მაზე ფიქრობს და უსაზღვრო მზრუნველობას იჩენს. სერგეის ბუნება რთულია. მისი სული ნაზია, მუსიკალური, იგი კომპოზიტორია. სერგეი მოშორებული უნდა იყოს ყოველ-დღიურ წვრილ მონობას; სერგეისთანა გენიოსებს სადღაც შორს იტაცებს ოცნება, ღამღამობით არა სძინავთ, იტანჯებიან და—შორს, ოცნების სამთავროში იხილავენ ხოლმე თავიანთ მუზას. იგი განყენებული არსებაა... და ვერამაც იცის ეს. ვერა სერგეისათვის უფრო დედაა, მეგობარი, ამხანაგი, ვიდრე საყვარელი ცოლი. სერგეისაც უიმისოდ სიცოცხლე არ შეუძლიან,—ვერას უმჟღავნებს თავის საიდუმლოებას, იმედს, ეჭვებს, მაგრამ ვერა მაინც ვერ აკმაყოფილებს მის რთულ ბუნებას. ვერასთან იგი ვერა გრძნობს სულის მღელვარებას, ვერა ჰხედავს ბრწყინვალე სხივებს, ყურთ არ ესმის საიდუმლო ციური ხმები და ყველაფერი ეს, მისთვის, როგორც მემუსიკესათვის ასე საჭიროა. მისი ოპერა! მასში უნდა გაისმას სიყვარულის გამარჯვების პირველი ჰანგები, უნდა გამოუხმოს ადამიანთა ბედნიერებას. ვერა ამ გრძნობას ვერ იწვევს მასში. სამაგიეროდ მეორე, ნადია, წინ ჩამოეფარა ვერას... სერგეის და ნადიას ერთმანეთი შეუყვარდებათ. სერგეიც მოზღვავებულ გრძნობას არ ებრძოლება. ეს მისთვის საჭიროა. უამისოდ იგი მკვდარია. ვერა მიხვდება ამას... მის ბედნიერებას, როგორც ცოლისას, ბურუსი გადაეფარა, იგი აღარ განიბნევა, მაგრამ იმდენად უყვარს ქმარი და ისე თავგანწირვით ზრუნავს იმის მომავლისათვის, რომ გულში იკლავს ეჭვიანობის გრძნობას და სრულ თავისუფლებას აძლევს მათ სიყვარულს, იმიტომ, რომ თუ სერგეი ბედნიერთა—ვერაც ბედნიერია. თუ ნადია თავის სიყვარულით შთაბერავს სერგეის შემოქმედებით ძალას და სერგეი გაიმარჯვებს თავის ოპერით—ვერაც გამარჯვებული იქნება.

ამასთან ერთად მეორე ცოლი. ცოლი ნიჭიერ მხატვრისა, ქალი წვრილმანი, უხასიათო, ჩაფლული ყოველ დღიურ ცხოვრების ჭუჭყსა და ტალახში, რომელსაც არაფერი იდეური ან სულიერი მუშაობა და ფიქრი ადამიანისა არა სწამს და არც გაეგება. „კარგ ცოლობას“ იმას ეძახის, თუ ქმარს გემრიელი სადილი მოუხარშა და როდესაც ქმარი ზღვის პირს რასმეს ხატავს, გატაცებული თავის იდეით, მიუტანს შალს, მოახვევს ზურგზე და თანაც ლაზათიანად გამოლანძღავს,—უპალტოვოდ რათ გამოხვედი, გაცივდებიო... ქმარს მუშაობის ხალისი ეკარგება, შემოქმედებითი ძალა უქრება. ქმარიც სუსტი ადამიანია, უხასიათო, რომელიც ბრმად დაემორჩილა ცოლის ასეთ მზრუნველობას. იგი ცოცხლად მკვდარია. ზოგჯერ გაიღვიძებს ხოლმე მასში ადამიანური გრძნობა, გაშლის ფრთებს, აფრთქიალდება გენიოსი სული,—უნდა გაიქცეს,

---

თა გუგუნს შეერთვის. უფალო, მოიღეთ წყალობა თქვენი მათზედა და, თუ მიუძღვით მათ ცოდვანი ნებსით თუ უნებლიეთნი წინაშე თქვენსა, აპატიოს სულგრძელებამან თქვენმა, დაუბრუნეთ ობლებს დედა, ვინაიდან მათ სხვა პატრონი არავინ გააჩნიათ ქვეყანასა ზედა.

მოუსმინა რა უფალმა ანგელოზებს, უბრძანა:

— წადით, ამოჰხადეთ სული ობლების დედას და აქ მომიტანეთო.

წავიდნენ ანგელოზნი, მივიდნენ ქოხთან, შეიხედეს.—ისევ ის შემზარავი სურათი აღუდგათ თვალწინ. ვერც ეხლა გაბედეს შეესრულებინათ ბრძანება უფლისა და დაბრუნდნენ ისევ ზეცას.

სცნო·რა უფალმა ანგელოზების ურჩობა, განრისხდა და უბრძანა:

წადით, იარეთ აღმოსავლეთისკენ. მიადგებით უდაბნოს, მოიარეთ იგი და რაც იმ უდაბნოში ნახოთ, მოდით და მიამბეთო!

მოწიწებით დაუკრეს ანგელოზებმა თავი უფალს და გასწიეს აღმოსავლეთისკენ. აღსრულდა სიტყვა უფლისა: დიდის ხნის სიარულის შემდეგ წინ გადაეშალათ უზარმაზარი უდაბნო, რომელსაც არც თავი და არც დასასრული უჩანდა. სულიერი არა ფეთქდა იქ და არავითარი მცენარე არ აღმოცენებულიყო. მიმოიარეს ყოველი კუთხე უდაბნოსი, მაგრამ საამბო კი, ქვისა და ქვიშის მეტი, ვერა ნახეს-რა, რომ ეუწყებინათ უფლისთვის. დაღალულ-დაქანცულთ დაბრუნების დროს გზათ ნახეს სამი ბელტი, ხავერდოვან მწვანით შემკული, თითქოს საგანგებოთ ნიშნავით წარმოდგმული. გადასწიეს აქეთ·იქით ბელტებს და ნახეს აუარებელი ჭიის უზრუნველად ცხოვრება ბელტების ძირში. მოავლეს ტრიალ უდაბნოს თვალი ანგელოზებმა და მაშინ განცვიფრებით აღვსილთ აქეს და ადიდებს სახელი უფლისა, რომელიც ამ უდაბნოშიაც კი ანიჭებს სიცოცხლეს ცხოველებს.

დაბრუნდნენ ანგელოზნი, მიიქცნენ ზეცას. თაყვანი სცეს უფალს და უამბეს რაც ენახათ.

მაშინ უფალმა აღახო პირი თვისი და უთხრა ანგელოზთ.

ურწმუნონო! თუ კი მამა თქვენი, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, ანიჭებს სიცოცხლეს და ზრუნავს მწერთათვისაც კი უდაბნოში, რაღაც სულთა ქმნილს არ ძალ·უძს ფეთქა, ნუთუ უფალი, ღმერთი თქვენი, დასტოვებს იმ ობლებს უპატრონოდ და არ იზრუნებს მათთვის! წადით, ეყო ტანჯვა დედაბერს, ამოჰხადეთ სული და აქ მომიტანეთო. იმ ობლებს კი, როგორც გავაჩინე, ისე დავარჩენ,—სთქვა უფალმა.

მაშინ წავიდნენ ანგელოზნი და აასრულეს ბრძანება უფლისა.

მიამბო რა მოხუცმა აქ მოყვანილი თქმულება, დასძინა „ამაზეა, შვილო ნათქვამი: ღმერთი როგორც გააჩენს კაცს, ისე დარჩენო“.

**ი. გარგარეთელი.**

მოშორდეს ამ სამარეს, მაგრამ იქვე გაუჩნდება ცოლიდა გაშლილ, გამართულ ფრთებს შეჰკვეცავს. ასეთია პიესის შინაარსი.

ეს პიესა მშვენივრად ითამაშეს მოსკოვის საიმპერატორო „პატარა თეატრში“. **ვალ. შალიკაშვილი.**

—

**წარმოდგენა ავლაბრის თეატრში.** დღეს, 17 ოქტომბერს, ავლაბრის თეატრში ქართველ სცენის-მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ჩვენი ცხოვრებიდან აღებული ირეთელის ხუთ მოქმედებიანი დრამა „დამარცხებულნი“.

—

**ქართული თეატრი.** ცარიელი დარბაზი... ძალიან ცუდად მოქმედებს ცარიელი დარბაზი არტისტებზედაც და მაყურებლებზედაც... პირველებს გული უტყდებათ, თვალ-წინ უდგებათ რა გამოფიტული კასსა. მმორენი მოწყენილის თვალებით აქეთ-იქით იყურებიან, ნაცნობებს ეძებენ; ანტრაქტის დროს უნდათ გამოლაპარაკება, მუსაიფი, მაგრამ დრამატ. საზოგადოების გამგეობის წევრების მეტს ვერავისა ხედავენ. გამგეობის წევრებთან კი ამ დროს კაცი ვერ მივა—ცხვირპირი ჩამოსტირით.

დიაღ, სანუგეშოს არაფერს წარმოადგენს ცარიელი დარბაზი. რაღაც შიში, უიმედობა გიპყრობს. გაფიქრებს ქართული თეატრის ბედი, მისი აწმყო და მომავალი. სიცოცხლე მოდუნებულია. არაფერს და არავის არ ეტყობა აღმაფრენა, გატაცება. თითქოს ყველა უსიამოვნო მოვალეობას ასრულებსო.

უცნაურია სწორედ! სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ ჟამად ჩვენი თეატრი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მისი საქმეების გამოკეთება და ხალხის მიზიდვა დებიუტანტებით უნდათო. დებიუტებით დაიწყეს, დებიუტებით განაგრძობენ და ალბად დებიუტებითვე დაამთავრებენ. ძველი არტისტები? ნუ თუ მათი იმედი აღარ არის?

ხუთშაბათს წარმოადგინეს სარდუს პიესა „აი გიდი მეგობრებო!“ პირველი და უმთავრესი, რაც უნდა ვთქვათ, არის ის, რომ არტისტებმა როლები არ იცოდნენ. გეფიცებით ცასა და დედამიწას, რომ ჩვენ, რეცენზენტებს, ძალზე გვეძნელება ყოველდღე ერთისა და იმავეს გამეორება. იმ თავით ამ თავამდე სულ როლების უცოდინარობას უჩივით ჩვენ არტისტებს. გვრცხვენიან ასეთი დაჟინება, მაგრამ რა ვქნათ, რომ სხვებს არა სცხვენინათ და არაფრად აგდებენ ამას...

გადაჭრით ვამბობთ, რომ ჩვენს არტისტებს უნაკლულოდ შეუძლიანთ ზემოხსენებულ პიესის წარმოდგენა, მაგრამ როლების უცოდინარობა ხელს უშლის ყველაფერს და განსაკუთრებით ანსაბლს. ნეტა როდის ველირსებით, ამ ნაკლის თავიდან აცილებას? ძველები გადაეჩვივნენ ან სულ არა ყოფილან დაჩვეულნი როლების დასწავლას, ახლები ძველების კვალს მისდევენ და მათ ჰბაძავენ. ამ რიგად, ყველაფერი ჩვენ თეატრში უკან მიდის, უკან მიიწევს...

დებიუტანტზე, დ. მგალობლიშვილზე, შემდეგ მოვილაპარაკებთ, როდესაც სხვა როლებშიაც ვნახავთ.

# სასამართლო

**ჩამოხრჩობა.**

15 ოქტომბერს კავ. სამხედრო ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სოფ. შილდის მცხოვრების ილია აბასაშვილის, სოფ. საგარეჯოს მცხოვრების გიორგი შაქარაშვილის, თელავის მოქალაქის ალექსი არუთინოვის, რაჭის მაზრის სოფ. ვალევის მცხოვრების ივანე ქელბაქიანის (იგივე ელბაქიძე) და ტფ. მაზრის სოფ. ხაშმის მცხოვრების ივანე ჯიქიძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ, 5 ივლისს 1908 წელს ერთმანეთთან შეთანხმებით ტყვეთ გატაცება თელავის მცხოვრების მიხეილ ტერ-არუთინოვის და იმის მამისაგან გასანთავისუფლებლად 800 მან. აღება.

სასამართლომ ყველა ზემოდ დასახელებული დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ჩამოხრჩობა მაგრამ ამასთან დაადგინა, აღძრას, შუამდგომლობა კავკასიის ჯართა უფროსის წინაშე აშათ სასჯელის შემსუბუქებაზე.

**ქალის გატაცება და მკვლელობა.**

16 ოქტომბერს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ბორჩალოს მაზრის სოფ. თორხმანკალის მცხოვრების ასან ჯაფარ-ოღლისა.

საბრალმდებლო ოქმით მას შემდეგი ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებოდა: 1908 წელს 11 თებერვალს ასან ჯაფარ-ოღლი ფაშა ხალილ-ოღლისთან ერთად შეიარაღებული თავს დასცემია სოფ. თარხმანკალაში თავის მეზობელს თავთუხა ნავრუზ ოღლის (14 წლისაა), გაუპატიურების განზრახვით გაუტაცნია მისი ცოლი ჰართორუნჯ კიზი, მაგრამ ქალის ყვირილზე ხალხი მოგროვილა და გაუგდებინებიათ. ამავე დღეს გაუვლიათ არამიანცის მამულში და მოუკლავთ იქ მყოფი ნაბია სულეიმან ოღლი. მეორე დღეს კი ტყეში ღამე ასან-ჯაფარ-ოღლის მოუკლავს თავისი ამხანაგი ფაშა ხალილ ოღლი. ბრალდებული თვითონ გამოცხადებულა მამასახლისთან, რის შემდეგაც იგი მეტეხის ციხეში დაუპატიმრებიათ.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი დამნაშავედ იცნო მხოლოდ ფაშა ხალილ ოღლის მოკვლაში. მკვლელობა სისხლის აღებით ახსნა და განაცხადა, ნაბია სულეიმან ოღლი მოჰკლა ფაშამ, მე შური ვიძიე და მოვკალი ფაშა, რადგან იგი ჩემი ბიძაშვილი იყო და მასთან სიძეგა.

რადგან ბრალდებულს დამცველი არა ჰყავდა სასამართლოს წინადადებით მისი დაცვა იკისრა ნაფიცმა ვექილმა გამრეკელმა. დასაბუთებული სიტყვით მან მოითხოვა ბრალდებულის სასჯელის შემსუბუქება.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ქალის გაუპატიურების განზრახვაში და ამხანაგის მკვლელობაში ჰასან ჯაფარ-ოღლი და მიუსაჯა $2\frac{1}{2}$ წლით დაპატიმრება, ხოლო ნაბია სულეიმან ოღლის მკვლელობაში გაამართლა.

# უცხოეთი

**იტო და კოკოვცევი.**

როგორც ვიცით მარკიზ იტო ამ დღეებში მოჰკლეს იტო მანჯურიაში იყო, რომ ფინანსთა მინისტრ კოკოვცევს შეხვედროდა. უცხოეთის გაზეთები გადმოგვცემენ, იტოს მოქმედებით ძალზე აღშფოთებულნი იყვნენ ჩინელები. ზრესა აშკარად უცხადებდა იტოს უნდობლობას. ჩინეთის ოფიციალური და არა ოფიციალური გაზეთები იგონებდნენ იტოს მნიშვნელობას კორეის იაპონიასთან შეერთების საქმეში და თხოულობდნენ დაუყონებლივ უზრუნველეყოთ ჩინეთის გავლენა მანჯურიის საქმეებში.

**იაპონიის საქონლის ბოიკოტი მანჯურიაში.**

უცხოეთის გაზეთებს მუკდენიდან ატყობინებენ, იაპონიის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს მანჯურიაში. ბოიკოტი თან და თან ფართოვდება და საყოველთაო ხასიათსა ღებულობს. მუკდენში დიდძალ პროკლამაციებს ავრცელებენ; ეგრედ წოდებული „სახალხო საზოგადოება“ მეტად ენერგიულად მოქმედებს. აცხადებენ იმ ვაჭრების გვარებს, რომლებიც იაპონიის საქონელსა ჰყიდიან და ბოიკოტს არ ღვევენ. იმდენად ენერგიულად მოქმედებენ ჩინელები, რომ ბევრი იაპონელი ვაჭარი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა მუკდენი და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

**მთავრობის ბოდიში გაზეთის დაკეტვის გამო.**

„ნოვ. რუს.“ თეირანელი კორესპონდენტი იუწყება, სპარსეთში ორი მთავარი პარტიაა, სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-რევოლიუციონერებისა. პირველ პარტიას მთავრობის წრეებშიაც ჰყავს წარმომადგენელნი, სპარსეთის ეხლანდელი მთავრობა თავის თავს სოციალ-დემოკრატიულად (?) სთვლის. სოციალ-რევოლიუციონერებს თავიანთი ორგანო ჰქონდათ—გაზეთი „შარკი“, რომელიც მეტად გაბედულად ჰგმობდა ეხლანდელ მთავრობის უსაქმურობას, და მთავრობის ყოველ ნაბიჯს უკრიტიკოდ არა სტოვებდა. თავის მხრივ მთავრობა თუმცა უკმაყოფილო იყო გაზეთისა, მაგრამ პირველ ხანებში უხერხულადა სთვლიდა დაეკეტა გაზეთი. 22 სექტემბერს პრემიერ-მინისტრის სეპეხდარის ბრძანებით გაზეთი „შარკი“ დაკეტეს. ამ გარემოებამ პარტიული ბრძოლა უფრო გაამწვავა. რედაქტორმა ზენდ-ზიამ განაცხადა, ხვალვე ახალი გაზეთი „ზარკი“ გამოვაო. ჩემი პარტია ძლიერია და დღევანდელ მთავრობას არ ძალუძს ლაპარაკი ამიკრძალოსო. თეირანში პატარა ბავშვები ასეთი შინაარსის ფურცლებსა ჰფანტავდნენ: „მოქალაქენო, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სპარსეთში ისევ თვითნებობა და თვითმპყრობელობაა გამეფებული. გაზეთი „შარკი“ სიმართლის გულისათვის დაკეტეს. ზოგიერთ მინისტრებს სიმართლე არაფრად ეპრიანებათ. სიმართლე აბა რათ უნდა ჩვენს კონსტიტუციონალურ მთავრობას, როდესაც საქმის გაურჩევლად და შეუტყობინებლად მიკეტვენ გაზეთს. თუ სპარსეთში მართლა კონსტიტუციაა, თუ შენში, სპარსეთის ხალხო, არ გამქრალა სურვილი წინმსვლელობისა და ღირსებისადმი, უნდა სცდილობდე იმ სიბინძურის გამოაშკარავებას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უხვადაა დაგუბებული. თუ გაზეთები პირს აიკერვენ, სიმართლეს არ გამოაშკარავებენ, სპარსეთში კვლავ თვითნებობა გამეფდება და ყველანი ისევ უვიცობისა და შეუგნებლობის ბურუსში იქნებიან“.

ამ მოწოდებაზე ხელი უწერია ზეიდ-ზია ედ დინ ტაბა-ტაბაის—„შარკის“ რედაქტორს. მეორე დღეს, 23 სექტემბერს, სახდარ ასადი შევიდა „შარიკის“ რედაქციაში და ბოდიში მოიხადა მინისტრების სახელით, რომ გაზეთი დროებით შეაჩერეს. სარდარ ასადმა გამოუცხადა რედაქტორს გაზეთ „შარიკის“ გამოცემა კვლავ შეიძლებაო.

# რუსეთი

✦ **მემარჯვენეები.** მემარჯვენეებს გადაუწყვეტიათ სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვა შეიტანონ, რა მიზეზით და რა საბუთით სდევნიან ადმინისტრაციის წარმომადგენელნი მემარჯვენე პრესსასაო. მემარჯვენეებს დიდ ძალი მასალაც კი შეუკრებიათ ამის შესახებ.

✦ **გაუპატიურება.** როგორც მკითხველს მოეხსენება საერო განათლების მინისტრის ბრძანებით მოსწავლეებს სკოლის გარეშეც დაუწყეს თვალ-ყურის დევნება. მოსწავლეებს თვალ-ყური მასწავლებლების გარდა პოლიციამაც უნდა ადევნოს. თუ როგორ „ადევნებენ თვალ-ყურს“ პოლიციელები მოსწავლეებს, ამის შესახებ კარგ ცნობას გადმოგვცემს „რუსკ. სლოვო“. გაზეთს კერჩიდან შემდეგს ატყობინებენ: კერჩის გრადონაჩალნიკმა ქალთა ადგილობრივ გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფედ ნამყოფის აპოსტოლენკოსგან თხოვნა მიიღო სამართალში მიეცით კერჩის ბოქაულები კამინსკი და ეგერტი, რომლებმაც გამაუპატიურეს, რის გამო გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭომ გიმნაზიიდან გამომრიცხაო. საქმე ამნაირად ყოფილა: ბოქაულები კამინსკი, ეგერტი და ქალთა გიმნაზიის ზედამხედველი არტემოვი საღამოს 10 საათზე შეხვედრიან აპოსტოლენკოს. ბოქაულებს და არტემოვს აპოსტოლენკოსთვის უთქვამთ, ამ დროს აქ რას აკეთებთ, ერთი სიტყვით შეუტუქსვიათ, შემდეგ კი მომბალან და ბალში მიუპატიჟნიათ. აპოსტოლენკო გაჰყოლია. ბალში ზემოდ დასახელებულ პირებს დაუთვრიათ აპოსტოლენკო და შემდეგ სამთავეს გაუპატიურებიათ. აპოსტოლენკო 15 წლისაა“. კარგი თვალ-ყურის დევნებაა!

✦ **სემიპალატინსკის მაძებარი პოლიცია.** „რეჩ“-ს სემიპალატინსკიდან ატობინებენ, ადგილობრივ მაძებარ პოლიციაში ისეთი ამბები ხდება, რომ არავინ დაიჯერებს, არაკი ეგონებათ. დაპატიმრებულებს საშინლად აწვალებენ, რომ გამოსტეხონ. შეწუხებულმა სემიპალატინსკის მცხოვრებლებმა თხოვნა მისცეს ოლქის სასამართლოს პროკურორს, მაგრამ არა გამოვიდა-რა. გამოძიების დროს ვერავინ გაბედა მაძებარ პოლიციის საწინააღმდეგოდ ელაპარაკნა. ვინც გაბედა, ისეთი დღე დააყარეს, რომ დაბადების დღე აწყევლინესო.

✦ **მამა შვილის წინააღმდეგ.** გაზეთ „ასხაბად“-ში ვკითხულობთ: ამ რამდენიმე დღის წინად ასხაბადის პოლიცმეისტრის კანცელარიაში გამოცხადდა ვინმე მოსე ბრატინი და განაცხადა, ჩემი ქალი ნინა რევოლიუციონერია, არალეგალურ ლიტერატურას ინახავს და ზომები მიიღეთო, თანაც ბრატინმა პოლიციას ზოგიერთი არალეგალური ბროშიურები აჩვენა ჩემი ქალიშვილის ოთახში ამისთანა ბროშიურები ბევრიაო. პოლიციამ გაჩხრიკა ბრატინის სახლი და მისი ქალის ნინას (16 წლისაა), ოთახში სოციალისტ-რევოლიუციონერების რამდენიმე პროგრამა და სარევოლიუციო სიმღერების რვეული იპოვა. ნინა ბრატინი დააპატიმრეს. მთავარ მოწმედ სასამართლომ დანიშნა ნინას მამა მოსე ბრატინი, მაგრამ ბრატინს შერცხვა და ველარ გამოცხადდა სასამართლოში. სასამართლომ გაამართლა ნინა ბრატინისა.

✦ **რევიზია.** ამ ჟამად ვარშავის საინტენდანტოებს რევიზიას უშვრება სენატორი გარინი.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვს: სევასტოპოლში 1, ორიოლში 1 (72 წლის მოხუცს), ნიკოლაევში 6, პეტერბურგში 3, მოსკოვში 1, ხარკოვში 2, რიგაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: სარატოვში 2, უფაში 5, რეველში 2, პეტერბურგში 1, მოსკოვში 1, ოდესსაში 3.

✦ **მემარჯვენეები ფინლიანდიაზე.** თუ რა თვალით უყურებენ მემარჯვენეები ფინლიანდიას, ეს პურიშკევიჩის სიტყვებიდანაც სჩანს. პურიშკევიჩს უთქვამს: მანამდის არ მოვისვენებ, სანამ ფინლიანდიის სეიმს არ გააუქმებენ და ფინლიანდიის ამორჩეულ კაცებს სახელმწიფო სათათბიროში მხოლოდ სათათბირო ხმა ექნებათ.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ მიერ გამოცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში ადგილი მისცეთ ანგარიშს 12 აგვისტოს გამართულ წარმოდგენისას თელავის საზოგადო სამკითხველოს სასარგებლოდ.

შემოსავალი: ბილეთებიდან 72 მან. 92 კაპ., ფოსტიდან 6 მან. 18 კაპ. შემოწირულება: კნ. აბაშიძისა და კნ. ერისთავისაგან—3 მან., ბ. მონადირიშვილისაგან—1 მან. სულ 83 მან. და 10 კაპ. ხარჯი: მუსიკა—20 მან., მემუსიკეთათვის ვახშამი—4 მან., ბილეთების და აფიშების დაბეჭვდა—4 მან. 80 კაპ., მარკები—6 მან. და 14 კაპ., დეკორაციის ქირა—3 მან., დეპეშა გუბერნატორთან—2 მან. 50 კაპ., სკამების ქირა, ხელზე მოსამსახურეებს, პოლიციელს და სხვა წვრილმანი ხარჯი—7 მ. 5 კაპ. სულ 47 მან. 19 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 35 მან. 91 კაპ.

გამგეობა აღნიშნულ სამკითხველოსი დიდს მადლობას უძღვნის ბ-ნთ აწყურელს, შელიძეს, ახოსპირელს, გახვახიშვილს, რცხილაძეს და ქ. ხატიაშვილს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისთვის უსასყიდლოდ, ფუდავის საკრებულო დარბაზის გამგეობას—დარბაზის უსასყიდლოდ დათმობისათვის, კნ. აბაშიძისას, ერისთავისას და მონადირიშვილს—შემოწირულებისათვის და ყველა იმათ, რომელთაც რაიმე შემწეობა გაგვიწიეს.

**ნინო მთვარელიშვილი.**

—

უღრმეს მადლობას უძღვნი ჩემს მაგიერ და ტუსაღების მაგიერადაც ბ-ნ დავით გოგებაშვილს, რომელმაც ინება და შემოსწირა ჩემდა რწმუნებულ მეტეხის სატუსაღოს წერა-კითხვის სკოლას ოცი ცალი „რუსკოე სლოვოს“ პირველი ნაწილისა და ასი ცალი „დედა-ენის“ მეორე ნაწილისა; აგრეთვე ტფილისის სატუსაღო კომიტეტის დირექტორს ბ-ნ როზენფელდს, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულ სკოლას ფულად ერთი თუმანი. მადლობას უცხადებთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც შემოსწირა 19 ცალი ქართული წიგნი სხვა და სხვა ავტორისა, იმათ, რომელთაც „დროების“ რედაქციას გადასცეს წიგნები. „დროების“ რედაქციამ გამოგვიგზავნა სულ 92 ცალი ქართული წიგნი სხვა და სხვა პირებისაგან შეწირული.

იმედი: ქართველი საზოგადოება არ დაზოგავს თავის წვლილს ხსენებულ სკოლისა და წიგნ-საცავის სასარგებლოდ. კარგი იქნება, „ნაკადულის“ და „ჯეჯილის“ რედაქციებმა დაგვითმონ თითო ცალი თვიანთა გამოცემებისა.

მეტეხის ციხის სატუსაღოს სკოლის გამგე. **მღ. მიხეილ დევიძე.**

—

ჩვენ, ადესის ქართველი სტუდენტები, თანახმად კოლია მაქელაძის თხოვნისა ვაცხადებთ, რომ მის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“ ჩარიცხვის შესახებ არავითარი ცნობები არა გვაქვს, ასეთი ხმები ხალხში ალბათ იმიტომ გავრცელდა, რომ იგი განაგრძობდა მეგობრობას ანდრია დგებუაძესთან ბოიკოტის გამოცხადების შემდეგაც.

ქართველ სტუდენტთა მონდობილობით.
**სტ. არ. ჯაჯანაშვილი.**

# მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საკარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საკარაკო N 77 ა, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საკარაკო N 76 ა, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საკარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


# განცხადებანი

**ექიმი ზ. მაგაკიანი.** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა.
(100—ნალ.—39)

**პირველი კერძო სამკურნალო**
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1882 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აბელიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1\frac{1}{4}$ ს. შინ. და ბავშ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6\frac{1}{2}$ ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—195)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარდან მოხიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ. ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.
**ბოგოსსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.
**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.
**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2
**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—$12\frac{1}{2}$ ს.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ გარდა 4—5 ს.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს.
**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა. ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (00—6.—104)


# „დროების“ კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.





# ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან, ჩვენ გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ, წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—80)